

მე-4 კლასი

ძირითადი დავალებები (50 ქულა)

- გამოთვალეთ: $(6 - 4 : 2) \times 2 =$ (4 ქულა)
A) 1 B) 0 C) 8
- ჩამოთვლილთაგან რომელი რიცხვია 7-ისა და 11-ის ჯამზე 18-ით ნაკლები? (4 ქულა)
A) 36 B) 0 C) 18
- ჩამოთვლილთაგან რომელია მეტი: (4 ქულა)
A) $61 - (20 - 11)$ B) $61 + 11 - 20$ C) არც ერთი
- დავითს ჰყავს 3 ძმა და 4 და. რამდენი და ჰყავს მის დას ანას? (5 ქულა)
A) 1 B) 3 C) 4
- ლუკას მამამ 6 ლარი აჩუქა, დედამ კი მამის ნაჩუქარზე 2-ჯერ მეტი. ამის შემდეგ ლუკას 27 ლარი გაუხდა. რა თანხა ჰქონდა ლუკას თავდაპირველად? (5 ქულა)
A) 9 ლარი B) 15 ლარი C) 10 ლარი
- გიორგიმ ანას 3 წიგნი აჩუქა, ახლა მათ ტოლი რაოდენობის წიგნები აქვთ. რამდენი წიგნით ნაკლები ჰქონდა ანას თავდაპირველად? (5 ქულა)
A) 2-ით B) 6-ით C) 1-ით
- უმცირეს ორნიშნა რიცხვზე 89-ით მეტი რიცხვია: (5 ქულა)
A) 88 B) 100 C) უდიდესი ორნიშნა რიცხვი
- იპოვეთ ყველა ერთნიშნა რიცხვის ჯამს დამატებული უდიდესი ორნიშნა რიცხვი (6 ქულა)
A) 99 B) 45 C) 144
- მოცემულია რიცხვი: 57198. რომელი ორი ციფრი უნდა წავშალოთ, რომ დარჩენილი რიცხვი შესაძლო ვარიანტებიდან უმცირესი იყოს? (6 ქულა)
A) 8, 9 B) 7, 5 C) 9, 7
- მარიამი, ნიკუშა, ანა და ლუკა ოთხსართულიანი სახლის სხვადასხვა სართულებზე ცხოვრობენ. მარიამი ნიკუშას მაღლა ცხოვრობს, მაგრამ ლუკას დაბლა. ანა ნიკუშას მაღლა, მაგრამ მარიამის დაბლა ცხოვრობს. რომელ სართულზე ცხოვრობს მარიამი? (6 ქულა)
A) 3 B) 2 C) 1

ბონუს დავალებები (8 ქულა) - კითხვები ფინანსური განათლებიდან

ტესტის მაქსიმალური ქულაა 50. ბონუს დავალებების ქულა ძირითადი დავალებების ქულას დაემატება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ძირითად ნაწილში ვერ დააგროვებს უმაღლეს ქულას.

- ერთ დღეს ელენეს მშობლებმა 10 ლარი მისცეს ჯიბის ფულის სახით, ბაბუამ კი მას დამატებით 3 ლარი აჩუქა. ამის შემდეგ, პატარა მამამ ელენეს 5 ლარი გამოართვა. საბოლოოდ, რამდენი ლარი აქვს ელენეს? (4 ქულა)
A) 5 ლარი B) 8 ლარი C) 10 ლარი
- ნიკას მხოლოდ 2 ლარი აქვს. მას შეუძლია შეიძინოს პიცა ან ღვეზელი, თუმცა, ამავე დროს, ნიკას ძალიან სწყურია, რადგან დილით თავისი წყლის ბოთლის შევსება დაავიწყდა. პიცა 2 ლარი ღირს, ღვეზელი - 1 ლარი, წყალი კი - 50 თეთრი. ნიკას რომელი გადაწყვეტილება იქნება უფრო გონივრული? (4 ქულა)
A) იყიდოს მხოლოდ პიცა B) იყიდოს ღვეზელი და წყალი C) არ აქვს მნიშვნელობა რას გადაწყვეტს ნიკა